საიდ. N73517/03

IR 1169806

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №194-03/14

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ ,,საქპატენტთან" არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ნ. გოგილიძე (თავმჯდომარე), ს. ებრალიძე, ქ. კილაძე, ლ. ახობაძის მდივნობით, განიხილა კომპანიის ,,სენტის აგ" (Sentiss AG) (მის.: ბანკშტრასე 4, CH-8610 უსტერი, შვეიცარია; Bankstrasse 4, CH-8610 Uster (CH)) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №196-03/14), რომლითაც მოითხოვება ,,საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭების შესახებ საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ" სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - ,,საქპატენტი" სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 6 ოქტომბრის N2555/03 ბრძანების ბათილად ცნობა იმ ნაწილში, რომლითაც

საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე მე-5 კლასის საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის ,,SENTISS“ (საიდ. N73517/03, IR 1169806) დაცვის მინიჭება საქართველოში მე-5 კლასის საქონლის შეზღუდული ჩამონათვალის მიმართ.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის გადაწყვეტილება და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 6 ოქტომბრის N2555/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, წარმოდგენილი ნიშანი ,,SENTISS“ (საიდ. N73517/03, IR 1169806) დაცვას არ ექვემდებარება, ვინაიდან იგი მსგავსია კომპანიის ,,ზენტის გმბჰ ენდ კო. კგ“ (ZENTIS GmbH & Co. KG) (მისამართი: იულიხერ შტრასე 177, 52070 აახენი; Jülicher Strasse 177, 52070 Aachen) სახელზე მე-5 კლასის საქონლის მსგავსი ჩამონათვალისათვის მადრიდის შეთანხმების ოქმით საქართველოზე გავრცელებული და დაცული სასაქონლო ნიშნისა ,,ЦЕНТИС" (საერთ. N827081, რეგ. და გავრცელების თარიღი: 09/05/2003წ.). წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი შესრულებულია ლათინური ანბანით, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი კირილიცაზე. მიუხედავად ანბანთა შორის სხვაობისა, სასაქონლო ნიშნებს აქვთ აღრევამდე მსგავსი ჟღერადობა, რაც ქმნის მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „სასაქონლო ნიშნების შესახებ საქართველოს კანონის“ მე-5 მუხლის ,,გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სასაქონლო ნიშანს უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე განცხადებული საქონლის ნაწილის, კერძოდ, მე-5 კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

აპელანტის წარმომადგენელი, არ ეთანხმება ექსპერტიზის გადაწყვეტილებას და თვლის, რომ ნაკლებად შესაძლებელია მოხდეს ნიშნების აღრევა, ვინაიდან დაპირისპირებული ნიშნები არ არიან აღრევამდე მსგავსი, კერძოდ, ნიშნები განსხვავდება ვიზუალური და ჟღერადობითი თვალსაზრისით. განცხადებული სასაქონლო ნიშანი შესრულებულია ლათინური ანბანით, ხოლო დაპირისპირებული ნიშანი კი კირილიცით. დაპირისპირებულ ნიშნებში ექვსი ასოდან განსხვავებულია ოთხი და მსგავსია მხოლოდ ორი ასო, ამათგან ერთი ხმოვანი და ერთი თანხმოვანია ,,**SENTISS**“ – „**ЦЕНТИС**“, ანუ რჩება ,,**SNISS**“ და ,,**ЦНИС**“ დიდია განსხვავება სასაქონლო ნიშნების პირველ ასოებს შორის ,,**S**” (ს) და ,,**Ц**” (ც). აპელანტი თვილს, რომ დაპირისპირებული სიმბოლოების შესრულების ანბანური სტილი და განსაკუთრებით, პირველი ასოების განსხვავება, იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ არ მოხდება მომხმარებლის მხრიდან აღრევა, მითუმეტეს ასოცირების შედეგად აღრევა.

რაც შეეხება დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების მე-5 კლასის საქონლის ჩამონათვალს, აპელანტი მიიჩნევს, რომ დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი ძირითადად რეგისტრირებულია დიეტური საქონლისთვის და უპირატესად ხილზე და ხილის ბაზაზე დამზადებული დიეტური საქონლისთვის. იქიდან გამომდინარე, რომ აპელანტის ნიშანი განცხადებული იყო მე–5 კლასის სრული ჩამონათვალისთვის. აპელანტი თანახმაა შეზღუდოს მე-5 კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალი და ამოიღოს შემდეგი საქონელი: ,,სამედიცინო და ვეტერინალური დანიშნულების დიეტური საკვები და ნივთიერებები, ბავშვთა კვება, დიეტური დანამატები ადამიანებისა და ცხოველებისთვის“. შეზღუდვის შედეგად, მე-5 კლასის განცხადებული ჩამონათვალი იქნება შემდეგი: ,,ფარმაცევტული და ვეტერინარული პრეპარატები; სამედიცინო დანიშნულების ჰიგიენური პრეპარატები; სალბუნები, სახვევი მასალა; კბილის დასაბჟენი და კბილის ტვიფრის დასამზადებელი მასალა; მადეზინფიცირებელი საშუალებები; მავნე ცხოველების გასანადგურებელი პრეპარატები; ფუნგიციდები, ჰერბიციდები“.

ზემოთ აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე (მხედველობითი და საქონლის ჩამონათვალს შორის არსებული განსხვავება), აპელანტი თვლის, რომ არ მოხდება დაპირისპირებული ნიშნების აღრევა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აპელანტი ითხოვს ბათილად იქნას ცნობილი ,,სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭების შესახებ საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ" სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - ,,საქპატენტი" სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 6 ოქტომბრის N2555/03 ბრძანება იმ ნაწილში, რომლითაც საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე მე-5 კლასის საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ და საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს ,,SENTISS" (საიდ. N73517/03, IR 1169806) მიენიჭოს დაცვა საქართველოში მე-5 კლასის საქონლის შეზღუდული ჩამონათვალის მიმართ.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი (საიდ. №196-03/14) უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

,,სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,გ" ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ ,, მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა;".

სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ განცხადებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი ,,SENTISS" (საიდ. N73517/03, IR 1169806) და დაპირისპირებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი ,,ЦЕНТИС" (IR 827081) ერთმანეთის მსგავსია. სასაქონლო ნიშნები მსგავსია ფონეტიკური თვალსაზრისით. ქართველი მომხმარებლის მიერ ერთი გამოითქმის, როგორც ,,სენტისი", ხოლო მეორე

,,ცენტისი“. შესაბამისად, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მხოლოდ ერთი განსხვავებული ასოს არსებობა, არ სძენს სასაქონლო ნიშნებს საკმარის განმასხვავებლობას.

რაც შეეხება სასაქონლო ნიშნების ვიზუალურ მახასიათებლებს, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები გარკვეულწილად განსხვავდება ერთმანეთისგან. სასაქონლო ნიშნებს შორის არსებულ ვიზუალურ განსხვავებას, უპირველს ყოვლისა, განაპირობებს ის გარემოება, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი ლათინური, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი, კირილიცის ანბანით არის შესრულებული. შესაბამისად, სასაქონლო ნიშნების ვიზუალური აღქმისას, საერთო შთაბეჭდილება, რომელიც დაპირისპირებულმა ნიშნებმა შეიძლება მოახდინონ მომხმარებელზე, არ იქნება მსგავსი. განსხვავებულია დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების ასოების რაოდენობა, განცხადებული სასაქონლო ნიშნის შემთხვევაში შვიდი, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის შემთხვევაში ექვსი ასო.

სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების მხოლოდ ვიზუალური და ფონეტიკური მახასიათებლების შეფასებისას, ადგილი ექნება მათ აღრევასა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას. მაგრამ ამასთან, სააპელაციო პალატის კოლეგია ხელმძღვანელობს ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,გ“ ქვეპუნქტით და თვლის, რომ კანონის ზემოაღნიშნული ნორმის თანახმად, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციიაზე უარის თქმის საფუძველი არის როგორც სასაქონლო ნიშნებს შორის არსებული ვიზუალური, ფონეტიკური და სემანტიკური მსგავსება და/ან იდენტურობა, ასევე იმ საქონლის მსგავსება და/ან იდენტურობა, რომლისთვისაც მოითხოვება სასაქონლო ნიშნის დაცვა. სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ სასაქონლო ნიშნების იდენტურობის შემთხვევაშიც კი, თუ დაცვა მოითხოვება განსხვავებული საქონლისა თუ მომსახურებისათვის, ადგილი არ აქვს ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,გ“ ქვეპუნქტით

გათვალისწინებულ შემთხვევას და შესაბამისად, არ არსებობს ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის სამართლებრივი საფუძველი. სააპელაციო პალატის კოლეგია მხედველობაში იღებს დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების მე-5 კლასის საქონლის ჩამონათვალს და იზიარებს აპელანტის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის ,,ЦЕНТИС" (IR 827081) მე-5 კლასის საქონლის ჩამონათვალი ძირითადად მოიცავს ხილზე და ხილის ბაზაზე დამზადებულ დიეტურ საკვებსა და დიეტურ დანამატებს. სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, მიუხედავად იმისა, რომ დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები განცხადებული და რეგისტრირებულია ნიცის კლასიფიკატორის ერთსა და იმავე, მე-5 კლასში, განსხვავებულია საქონლის ჩამონათვალი. კერძოდ, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი ,,ЦЕНТИС" (IR 827081) რეგისტრირებულია სპეციფიკური საქონლისათვის (ხილზე დამზადებულ დიეტურ კვებაზე). (Dietetic food for medical purposes, as far as they contain fruits, fruit components, fruit bases, fruit juices and/or fruit flavours, especially dietetic and low-calory jams, marmalades, fruit jellies, fruit spreads, fruit creams and fruit mousses; spa salts; milk sugar.“). რაც შეეხება განცხადებული სასაქონლო ნიშნის საქონლის ჩამონათვალს, სააპელაციო პალატის კოლეგიამ მხედველობაში მიიღო საქონლის შეზღუდული ჩამონათვალი, რომლის თანახმად, დაცვა მოითხოვება მე-5 კლასის ზოგადი ჩამონათვალისათვის, სადაც ძირითადი აქცენტი გაკეთებულია სამედიცინო დანიშნულების პრეპარატებზე, კბილის საბჟენ და სამკურნალო მასალებზე, მადეზინფიცირებელ საშუალებებზე. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მე-5 კლასის საქონლის შემოთავაზებული სახით შეზღუდვის პირობებში, აღარ იარსებებს დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების აღრევისა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით

გათვალისწინებულ შემთხვევას და საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს ,,SENTISS“ (საიდ. N73517/03, IR 1169806) უნდა მიენიჭოს დაცვა მე-5 კლასის საქონლის შეზღუდული ჩამონათვალის მიმართ, კერძოდ: ,,ფარმაცევტული და ვეტერინარული პრეპარატები; სამედიცინო დანიშნულების ჰიგიენური პრეპარატები; სალბუნები, სახვევი მასალა; კბილის დასაბჟენი და კბილის ტვიფრის დასამზადებელი მასალა; მადეზინფიცირებელი საშუალებები; მავნე ცხოველების გასანადგურებელი პრეპარატები; ფუნგიციდები, ჰერბიციდები.“ (,,Pharmaceutical and veterinary products; sanitary products for medical purposes; plasters, materials for dressings; material for dental fillings and dental impressions; disinfectants; products for destroying vermin; fungicides, herbicides.“)

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა” ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის ,,სენტის აგ“ (Sentiss AG) სააპელაციო საჩივარი (საიდ. N196-03/14) დაკმაყოფილდეს.

2. ბათილად იქნას ცნობილი ,,საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭების შესახებ საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - ,,საქპატენტი“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 6 ოქტომბრის N2555/03 ბრძანება იმ ნაწილში, რომლითაც საერთაშორისო სასაქონლო

ნიშანს უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე მე-5 კლასის საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

3. საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს ,,SENTISS“ (საიდ. N73517/03, IR 1169806) მიენიჭოს დაცვა მე-5 კლასის საქონლის შემდეგი ჩამონათვალის მიმართ: ,,ფარმაცევტული და ვეტერინარული პრეპარატები; სამედიცინო დანიშნულების ჰიგიენური პრეპარატები; სალბუნები, სახვევი მასალა; კბილის დასაბჟენი და კბილის ტვიფრის დასამზადებელი მასალა; მადეზინფიცირებელი საშუალებები; მავნე ცხოველების გასანადგურებელი პრეპარატები; ფუნგიციდები, ჰერბიციდები.“ (,,Pharmaceutical and veterinary products; sanitary products for medical purposes; plasters, materials for dressings; material for dental fillings and dental impressions; disinfectants; products for destroying vermin; fungicides, herbicides.“)

4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: ნ. გოგილიძე

წევრები: ს. ებრალიძე

ქ. კილაძე